შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და შესაძლებლობების მხარდაჭერა თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად

შესრულებული საქმიანობის მონიტორინგის ანგარიში

თბილისი
2016

დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

დაფინანსებულია ფონდ ღია
საზოგადოება საქართველოს მიერ

მონიტორინგის ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ პროექტის ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და შესაძლებლობების მხარდაჭერა თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად“ ფარგლებში.

2014-2015 წლებში ქ. თბილისში, გურიისა და ქვემო ქართლის რეგიონებში პროექტს ახორციელებდნენ არასამთავრობო ორ-განიზაციები: „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ და „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“.

კვლევა გამოიცა ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ შეიძლება იყოს აღქმული, როგორც ევროკავშირის პოზიცია.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

მონიტორინგის ანგარიში მომზადებულია არასამთავრობო ორ-განიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიერ

ავტორი: ნანა გოჩიაშვილი
ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობდნენ:
ანა არგანაშვილი, ანა აბაშიძე
რედატორი: ნათია მენაბდე

ხელმისაწვდომი
გარემო
ყველასთვის

სარჩევი

შესავალი.....5
I. პროექტით დაგეგმილი სამუშაოები.....6
1. პროექტის შესახებ.....6
2. პროექტის კონკრეტული მიზნები.....6
3. პროექტის ამოცანები.....7
4. პროექტის სამიზნე ჯგუფები.....7
II. პროექტის შედეგების ზოგადი მიმოხილვა.....8
1. პროექტით დაგეგმილი რაოდენობრივი შედეგები.....9
2. პროექტით დაგეგმილი თვისებრივი მაჩვენებლები.....11
III. პროექტის ძირითადი შედეგები.....12
1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესაძლებლობების გაძლიერება და სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებული ადამიანური რესურსის მობილიზება.....13
1.1. სამიზნე მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რესურსების რუკის შექმნა.....13
1.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესაძლებლობების გაძლიერება.....14
1.2.1. ტრენინგ-მოდულის მომზადება.....14
1.2.2. ტრენინგების ჩატარება.....16
1.2.3. ტრენინგების შეფასება.....16
2. სამიზნე მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათი ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის ხარისხის ამაღლებით.....16
2.1. ადგილობრივი თვითმმართველობების პოლიტიკის დოკუმენტების, კანონმდებლობისა და ბიუჯეტის ანალიზი.....17

2.2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება.....17
2.2.1. ტრენინგ-მოდულისმომზადება.....18
2.2.2. ტრენინგების ჩატარება.....19
2.2.3. ტრენინგების შეფასება.....19
2.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში.....20
2.3.1. კონსულტაციები და რეკომენდაციები.....20
2.3.2. კომუნიკაცია.....22
3. სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების განსაზღვრა.....24
3.1. სამაგიდო კვლევა.....25
3.2. საველე სამუშაოები/სამუშაო შეხვედრები.....25
3.3. კვლევის საბოლოო ანგარიშის მომზადება.....26
4. საზოგადოების კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის.....26
4.1. კონსულტაციები.....27
4.2. რეკომენდაციები.....27
4.3. კომუნიკაცია.....28
5. საჭიროების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდაციების მომზადება სამიზნე მუნიციპალიტეტებისათვის.....28
5.1. ცნობიერების ამაღლება.....28
5.2. განხორციელებული სამუშაოების მონიტორინგი.....29
IV. ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში.....30
V. დასკვნა.....33

შესავალი

მონიტორინგის ანგარიში მიმოიხილავს პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და შესაძლებლობების მხარდაჭერა თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად“ ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოებსა და მათ შესაბამისობას პროექტით გათვალისწინებულ მიზნებთან და ამოცანებთან.

პროექტი ხორციელდებოდა 2014-2015 წლებში ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, ქ. ოზურგეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში ევროკავშირისა და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

მონიტორინგის მთავარი მიზანია, შეაფასოს, თუ რამდენად განაპირობებდა პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გააზრებას ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სამიზნე მუნიციპალიტეტებში, მუნიციპალური პროგრამებისა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

პროექტით დაგეგმილი სამუშაოების შეფასება ეყრდნობა ლოგიკურ ჩარჩოს, რომელიც მოიცავს პროექტით დასახულ მიზნებსა და ამოცანებს, მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორებს, მოსალოდნელ შედეგებსა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაოების ჩამონათვალს შესაბამისი ინდიკატორების მითითებით.

მონიტორინგის ანგარიში შედგება ოთხი თავისგან.

პირველ თავში განხილულია პროექტით დაგეგმილი სამუშაოები, მიზნები, ამოცანები და პროექტის სამიზნე ჯგუფები.

მეორე თავი მიმოიხილავს პროექტის ზოგად შედეგებს. ის შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენი ადამიანი იყო ჩართული პროექტით დაგეგმილ სამუშაოებში (სამიზნე ჯგუფების მიხედვით); პროექტით დაგეგმილ და მიღებულ რაოდენობრივ და თვისებრივ მაჩვენებლებს.

მესამე თავში დეტალურად არის აღწერილი პროექტის ძირითადი შედეგები და განხორციელებული სამუშაოები.

მეოთხე თავი ეთმობა მოკლე მიმოხილვას იმ ცვლილებებისა, რომლებიც განხორციელდა პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში. მართალია, ძნელია პირდაპირ იმის თქმა, რომ ეს ცვლილებები უშუალოდ პროექტით განხორციელებული სამუშაოების შედეგია, თუმცა, ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებისათვის ჩატარებული ტრენინგების, სამუშაო შეხვედრებისა და საჯარო დისკუსიების არაპირდაპირი შედეგი.

I. პროექტით დაგეგმილი სამუშაოები

1. პროექტის შესახებ

პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და შესაძლებლობების მხარდაჭერა თვითმმართველობის ორ-განოების მუშაობაში და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად“ 2014 წლის 1 თებერვლიდან 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით ხორციელდებოდა საქართველოს სამ რეგიონში: გურიაში, ქვემო ქართლსა და ქ. თბილისში.

პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვის უზრუნველყოფა, მათი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების რეალიზების ხელშეწყობა.

2. პროექტის კონკრეტული მიზნები

- სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების აქტიური ჩართვა თვითმმართველობის საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ინფორმირება და შესაძლებლობების გაძლიერება მათ მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირთა საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე მორგებული მუნიციპალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით.

3. პროექტის ამოცანები

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესაძლებლობების გაძლიერება და სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებული ადამიანური რესურსების მობილიზება;
- ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა;
- სამიზნე მუნიციპალიტეტების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და პრიორიტეტების კვლევა და შემდგომი ადვოკატირება;
- საზოგადოების კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისა და თვითმმართველობის ორგანოების მიერ;
- საზოგადოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ.

4. პროექტის სამიზნე ჯგუფები

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციები;
- სამიზნე მუნიციპალიტეტებში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები;
- სამიზნე მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები.

II. პროექტის შედეგების ზოგადი მიმოხილვა

2014 წლის 1 თებერვლიდან 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით პროექტის სხვადასხვა სამუშაოს განხორციელებაში ჩართული იყო 477 ადამიანი (2014 წლის 1 თებერვლიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - 207, ხოლო 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით - 270).

სამიზნე ჯგუფების მიხედვით, პროექტის აქტივობებში ჩართული ადამიანების რაოდენობა იყო შემდეგი:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები -137 (64 ქალი და 73 კაცი);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები - 160 (159 ქალი და 1 კაცი);
- ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულნი პროექტის სამუშაოებში - 80 (37 ქალი და 43 კაცი);
- ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ არ იყვნენ ჩართულნი პროექტის სამუშაოებში - 86 (22 ქალი და 64 კაცი);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციები - 7 (5 ქალი და 2 კაცი);
- არასამთავრობო ორგანიზაციები -16 (4 კაცი და 12 ქალი).

1. რაოდენობრივი შედეგები

დაგეგმილი რაოდენობრივი შედეგები	მიღებული რაოდენობრივი შედეგები
საჭიროებების კვლევის ფარგლებში 8 ფოკუს-ჯგუფისა და 30 სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარება	ჩატარდა 8 ფოკუს-ჯგუფი და 30 სიღრმისეული ინტერვიუ.
1230 ცალი საინფორმაციო ბროშურის მომზადება და გავრცელება სამიზნე მუნიციპალიტეტებში	დაიბეჭდა 3000 ცალი საინფორმაციო ბროშურა და გავრცელდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში.
სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების კვლევის 2 ანგარიშის მომზადება და დაბეჭდვა	მომზადდა საჭიროებების კვლევის 2 ანგარიში.
სამიზნე მუნიციპალიტეტების საზოგადოების კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის შექმნა	შეიქმნა სამიზნე მუნიციპალიტეტების საზოგადოების კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტი.
20 ტრენინგის ჩატარება შესაძლებლობის გაძლიერების თემაზე: 10 - ადგილობრივი თვითმმართველობებისთანამშრომლებისათვის და10-შეზღუდულიშესაძლებლობის მქონე პირებისათვის	ჩატარდა 26 ტრენინგი შესაძლებლობის გაძლიერების თემაზე: 16 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებისთვის,10-ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებისთვის.
60 საკონსულტაციო ვიზიტის განხორციელება სამიზნე მუნიციპალიტეტებში	განხორციელდა 57 საკონსულტაციო ვიზიტი სამიზნე მუნიციპალიტეტებში.

10 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასწრება ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოსა და კომისიების სხდომებზე	7 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და 7 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობელი დაესწრნენ საკრებულოსა და კომისიების სხდომებს.
8 საჯარო დისკუსიის ჩატარება	ჩატარდა 8 საჯარო დისკუსია: 2 - ქ. თბილისში, 2 - ქ. რუსთავში, 2 - ქ. ოზურგეთში, 2 - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.
სამიზნე მუნიციპალიტეტების კანონმდებლობის, პროგრამებისა და ბიუჯეტის შეფასების ამსახველი დოკუმენტის მომზადება	მომზადდა სამიზნე მუნიციპალიტეტების კანონმდებლობის, პროგრამებისა და ბიუჯეტის შეფასების დოკუმენტი.
რეკომენდაციების მომზადება სამიზნე მუნიციპალიტეტებისათვის	მომზადდა 9 რეკომენ-დაცია სამიზნე მუნიციპალიტეტებისათვის.
2 მონიტორინგის ანგარიშის შექმნა	შეიქმნა 2 მონიტორინგის ანგარიში: ერთი - შესრულებული სამუშაოების შეფასების მონიტორინგი და მეორე - საზოგადოების კომუნიკაციის სტრატეგია.
გაშუქება მედიის საშუალებით	მომზადდა სამი სატელევიზიო სიუჟეტი და 10 სტატია.

2. თვისებრივი მაჩვენებლები

- პროექტში ჩართულმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, მათმა მშობლებმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ, გაეცნენ მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებს თვითმმართველობის განხორციელების პროცესში;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, მათმა მშობლებმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიიღეს ინფორმაცია, როგორ იმუშაონ კოორდინირებულად მათ წინაშე და, ზოგადად, მათ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების განსაზღვრისათვის, როგორ მოიძიონ ამის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არსებული საინფორმაციო მასალა (საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის საშუალებით) და მოახდინონ ამ საკითხების ადვოკატირება;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, მათმა მშობლებმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს ინფორმაცია ადვოკატირების ძირითადი პრინციპების, სოციალური აუდიტის არსის, მისი დანიშნულებისა და პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობის შესახებ;

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლებმა მიიღეს ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე, მათ საჭიროებებზე, იმ საკანონმდებლო დოკუმენტებზე, რომლებიც ავალდებულებს მათ, გადადგან ქმედითი ნაბიჯები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინაშე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათი მშობ-

ლები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაეუფლნენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, როგორ გამოიყენონ სოციალური მედია და ტელევიზია მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების გასაჯაროებისა და გავრცელებისათვის;

- დამუშავდა როგორც ცენტრალური, ისე სამიზნე რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პოლიტიკის დოკუმენტები, პროგრამები, კანონმდებლობა და ბიუჯეტი;

- შემუშავდა სამიზნე რეგიონების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მათ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსების რუკა;

- პროექტში ჩართულმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა მიიღეს პრაქტიკული გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობის კუთხით.

III. პროექტის ძირითადი შედეგები

პროექტის ძირითადი შედეგების მიმოხილვა ეყრდნობა პროექტის ლოგიკური ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული შედეგების შეფასებას. ამისთვის, პირველ რიგში, გაანალიზებულია შედეგის მისაღწევად ლოგიკური ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული სამუშაოები და მათი შესაბამისობა შედეგის ინდიკატორებთან.

ლოგიკური ჩარჩოს მიხედვით, განსაზღვრული იყო ხუთი ძირითადი შედეგის მიღწევა, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მთავარი მიზნების შესრულების შეფასების ინდიკატორს.

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესაძ-ლებლობების გაძლიერება და სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებული ადამიანური რესურსის მობილიზება

შედეგის მისაღწევად ლოგიკური ჩარჩოს მიხედვით განსა-ხორციელებელი სამუშაოები მოიცავდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რე-სურსების რუკის შექმნასა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესაძლებლობების გაძლიერებას.

1.1. სამიზნე მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რესურსების რუკის შექმნა

სამუშაოების შესრულების ინდიკატორებად განსაზღვრული იყო:

- სამაგიდო მიმოხილვა;
- საველე სამუშაოები;
- სამუშაო შეხვედრები;
- რესურსების რუკის დოკუმენტის მომზადება.

პროექტის განხორციელების დასაწყისში მომზადდა რესურსების რუკა, რომელიც ეყრდნობოდა სამაგიდო მიმოხილვასა და საველე სამუშაოებს. დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას ქ. თბილისში, გურიისა და ქვემო ქართლის რეგიონებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების (DPO), შეზ-ღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ.

დოკუმენტში მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია თითოეული სამიზნე ჯგუფის შესახებ, ხოლო, ორგანიზაციების შემთხვევაში, აღწერილია მათი მუშაობის მიმართულებები და ამ მიმართულებების შესაბამისობა მიმდინარე პროექტის მიზნებთან .

რესურსების რუკის დოკუმენტი მომზადდა მოძრაობის „ხელმი-საწვდომი გარემო ყველასათვის“[1] მიერ, რაც განპირობებული

[1] ორგანიზაცია დაარსდა 2011 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აქტივისტების მიერ. ორგანიზაციის მისიას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ადვოკატირება მათთვის საზოგადოებრივ სიკეთეებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

იყო მისი მუშაობის სპეციფიკითა და იმ გამოცდილებით, რომელიც ორგანიზაციას აქვს რეგიონში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობის სფეროში.

მოძრაობა „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“ მუშაობს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, პარტნიორობს ადგილობრივ თემთან, საინიციატივო ჯგუფებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან (DPO) ქ. თბილისში, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, აჭარის, გურიის, იმერეთის, რაჭისა და კახეთის რეგიონებში.

1.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესაძლებლობების გაძლიერება

სამუშაოების შესრულების ინდიკატორებად განსაზღვრული იყო:

- ► ტრენინგ-მოდულის მომზადება;
- ► ტრენინგების ჩატარება;
- ► ტრენინგის შეფასება.

1.2.1.ტრენინგ-მოდულის მომზადება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ და მოძრაობის „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“ მიერ მომზადდა ტრენინგ-მოდული, რომელიც სამი ნაწილისგან შედგებოდა.

ტრენინგ-მოდულის პირველი ნაწილი ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობის არსის, მუშაობის ძირითადი მიმართულებების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლების დაცვის მექანიზმების გაცნობას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე:

- ► თვითმმართველობის არსი;
- ► თვითმმართველობის რეფორმის მოკლე მიმოხილვა;
- ► თვითმმართველობის მარეგულირებელი კანონმდებლობა;
- ► ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები;

- ► ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციები;
- ► ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის ფორმები;
- ► მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები ადგილობრივ თვითმმართველობაში;
- ► შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ თვითმმართველობის განხორციელების ეფექტური ფორმების განხილვა.

ტრენინგ-მოდულის მეორე ნაწილის მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კომპეტენციის ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ძირითად საკითხებზე და მოიცავდა შემდეგ თემებს:

- ► ადამიანის უფლებათა ჩარჩო-საკონსტიტუციო ნორმები და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით;
- ► გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (UN CRPD) - კონვენციის შემუშავების ისტორია და მნიშვნელობა;
- ► გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (UN CRPD) - სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები აღნიშნულ პირთა ძირითად უფლებებთან მიმართებით;
- ► თვითმმართველობის როლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვაში.

ტრენინგ-მოდულის მესამე ნაწილის მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლება თვითმმართველობის დონეზე საკუთარი უფლებების დაცვის მიმართულებით. ის მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- ► შესაძლებლობის შეზღუდვის არსი, თანამედროვე მიდგომები და გამოწვევები;
- ► შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები - ადგილობრივი და საერთაშორისო მექანიზმები;
- ► სახელმწიფო სერვისები და პროგრამები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით;

- ► შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა - მონიტორინგის არსი და მექანიზმები;
- ► სამოქალაქო აქტივიზმი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სოციალური ადვოკატირება, მისი არსი, ფორმები და მექანიზმები;
- ► შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

1.2.2. ტრენინგების ჩატარება

პროექტის ფარგლებში სულ ჩატარდა შესაძლებლობის გაძ-ლიერების 16 ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლებისათვის; მათ შორის, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 7, ქ. ოზურგეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში - 7 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში - 2. საერთო ჯამში ოთხივე მუნიციპალიტეტში 90-მდე ადამიანი გადამზადდა.

1.2.3. ტრენინგების შეფასება

ტრენინგების შეფასების მიზნით მომზადდა ორი სახის კითხვარი. პირველი ივსებოდა ტრენინგის დასრულებისას და განსაზღვრავდა, რამდენად კმაყოფილი იყვნენ ტრენინგის მონაწილეები. მეორე კითხვარი ივსებოდა ტრენინგის დასაწყისში და დასასრულს. მისი მიზანი იყო, შეემოწმებინა ტრენინგზე მიღებული ცოდნის ხარისხი.

2. სამიზნე მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმ-მართველობის ორგანოების მუშაობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა შეზღუდული შესაძ-ლებლობის მქონე პირების, მათი ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის ხარისხის ამაღლებით

შედეგის მისაღწევად ლოგიკური ჩარჩოს მიხედვით დაგეგმილი იყო შემდეგი სამუშაოების განხორციელება: ადგილობრივი თვითმმართველობების პოლიტიკის დოკუმენტების, კანონმდებ-ლობისადაბიუჯეტისანალიზი,ადგილობრივითვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება

და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში.

2.1. ადგილობრივი თვითმმართველობების პოლიტიკის დოკუმენტების, კანონმდებლობისა და ბიუჯეტის ანალიზი

სამუშაოების შესრულების ინდიკატორებად განსაზღვრული იყო:

- სამაგიდო კვლევა;
- საველე სამუშაოები;
- სამუშაო შეხვედრები;
- დოკუმენტის მომზადება;
- შედეგების გაცნობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკის დოკუმენტების, კანონმდებლობისა და ბიუჯეტის ანალიზი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხ-ლის“ მიერ. დოკუმენტის მომზადების პროცესში სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვნილ იქნა ინფორმაცია მუნიციპალური პროგრამებისა და ბიუჯეტის შესახებ. ინფორმაცია ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ მიღებულ იქნა საჯარო დისკუსიებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ისე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლები და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების თანამშრომლები.

2.2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება

სამუშაოს შესრულების ინდიკატორებად განსაზღვრული იყო:

- ტრენინგ-მოდულის მომზადება;
- ტრენინგების ჩატარება;
- ტრენინგის შედეგების შეფასება.

2.2.1. ტრენინგ-მოდულის მომზადება

ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიერ მომზადდა ტრენინგ-მოდული, რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა.

ტრენინგ-მოდულის პირველი ნაწილი შეეხებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის არსის, მუშაობის ძირითადი მიმართულებების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლების დაცვის მექანიზმების გაცნობას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე:

- თვითმმართველობის არსი;
- თვითმმართველობის რეფორმის მოკლე მიმოხილვა;
- თვითმმართველობის მარეგულირებელი კანონმდებლობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის ფორმები;
- მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები ადგილობრივ თვითმმართველობაში;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ თვითმმართველობის განხორციელების ეფექტური ფორმების განხილვა.

ტრენინგ-მოდულის მეორე ნაწილის მიზანი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით, აღნიშნული მიმართულებით მათი ვალდებულებების გაცნობა, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობით. ტრენინგ-მოდულის მეორე ნაწილი მოიცავდა შემდეგ თემებს:

- ადამიანის უფლებათა ჩარჩო-საკონსტიტუციო ნორმები და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით;

- გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (UN CRPD) - კონვენციის შემუშავების ისტორია და მნიშვნელობა;
- გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (UN CRPD) - ძირითად უფლებებთან მიმართებით სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები;
- თვითმმართველობის როლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვაში;
- ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის როლს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით (სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები და სხვ.).

2.2.2. ტრენინგების ჩატარება

პროექტის ფარგლებში სულ ჩატარდა შესაძლებლობის გაძ-ლიერების 10 ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებისათვის; მათშორის, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 2, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში - 4 და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში - 4.

2.2.3. ტრენინგების შეფასება

ტრენინგების მონაწილეების კმაყოფილების შესამოწმებლად წინასწარ შემუშავდა კითხვარი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ტრენინგის მონაწილეების კმაყოფილების ხარისხის განსაზღვრა. კითხვარი შედგებოდა ხუთი დახურული და ორი ღია კითხვისგან.

ტრენინგის ეფექტურობის შესამოწმებლად მომზადდა კითხვარი, რომელსაც ტრენინგის მონაწილეები ავსებდნენ ტრენინგის დასაწყისში და დასასრულს. მისი მიზანი იყო, დაედგინა ტრენინგზე მიღებული ცოდნის ხარისხი.

2.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში

სამუშაოების შესრულების ინდიკატორებად განსაზღვრული იყო:

- ► კონსულტაციები;
- ► რეკომენდაციები;
- ► კომუნიკაცია;
- ► დახმარება.

2.3.1. კონსულტაციები და რეკომენდაციები

პროექტის განმახორციელებელი გუნდი მუდმივად უზრუნველყოფდა პროექტში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი მშობლების კონსულტირებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ განსახილველი საკითხების შესახებ.

კონსულტაციების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენებოდა შემდეგი საშუალებები:

- ► სატელეფონო კომუნიკაცია - პროექტში ჩართულ ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს შეეძლო, ნებისმიერ დროს დაკავშირებოდა პროექტის განმახორციელებელ გუნდს, მიეღო მისგან რეკომენდაციები საკრებულოს/კომისიების სხდომებზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. სატელეფონო კომუნიკაციის მიზანი იყო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მათ მშობლებს ჩამოეყალიბებინათ არგუმენტირებული პოზიცია მათთვის საინტერესო და პრობლემურ საკითხებზე. ამ პოზიციას ისინი წარმოადგენდნენ საკრებულოს/კომისიების სხდომებზე.
- ► სოციალური ქსელი - ქ. ოზურგეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართვის უზრუნველყოფის მიზნით სოციალურ ქსელში შეიქმნა გვერდი, რომლის მეშვეობითაც პროექტის განმახორციელებელი გუნდი ატყობინებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პი-

რებს საკრებულოს/კომისიების სხდომების შესახებ. მათ საშუალება ჰქონდათ, აღნიშნული გვერდის გამოყენებით ნებისმიერ დროს მიეღოთ ინფორმაცია პროექტის განმახორციელებელი გუნდისგან.

- ► ტრენინგები და სამუშაო/ინდივიდუალური შეხვედრები - პროექტში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მონაწილეობის ფორმებისა და საშუალებების შესახებ ინფორმაციას იღებდნენ ტრენინგებსა და სამუშაო/ინ-დივიდუალურ შეხვედრებზე. მაგალითად, როდესაც პროექტის განმახორციელებელი გუნდის წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ. ოზურგეთის მუნი-ციპალიტეტში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მათ მშობლებს შეეძლოთ, მისულიყვნენ ქ. ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში და გასაუბრებოდნენ გუნდის თანამშრომლებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდა თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში, საკრებულოს/კომისიების სხდომებზე დასწრების ინსტრუქცია, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ როგორც პროექ-ტის განმახორციელებელი, ისე პროექტში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

პროექტში ჩართულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლებს ტრენინგების მსვლელობის დროს მიეწოდათ ინფორმაცია აღნიშ-ნული სახელმძღვანელო პრინციპების (ინსტრუქციის) შესახებ.

სახელმძღვანელო პრინციპების საშუალებით შეზღუდული შე-საძლებლობის მქონე პირებმა შეიტყვეს, რომელ ინტერნეტ-გვერდებზე შეეძლოთ, მოეძიებინათ ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის მიმდინარე საქმიანობის შესახებ. ინსტრუქცია მოიცავდა შემდეგ საფეხურებს:

- ► საკრებულოს/კომისიების სხდომის მიერ განსახილველი დოკუმენტის გამოთხოვნა საჭიროების შემთხვევაში, თუ მისი სრული ვერსია არ იყო განთავსებული ანონსთან ერთად;
- ► შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება და ჯგუფის

წევრებისთვის/დაინტერესებული პირებისთვის მათი გაზიარება;

- შესაბამისი მუნიციპალიტეტის კომუნიკაცია მასმედიასთან - პრესრელიზის მომზადება და ჟურნალისტების ინფორმირება;
- საკრებულოს/კომისიების სხდომაზე დასწრებამდე კონკრეტული მუნიციაპლიტეტის საკრებულოს რეგლამენტის პროცედურების გათვალისწინებით მოქმედება - დამსწრე პირთა დარეგისტრირება შესაბამის ვადაში, საჭიროების შემთხვევაში - მომზადებული ცვლილებების რეგისტრაცია;
- საკრებულოს წინაშე წარდგენილი რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

2.3.2. კომუნიკაცია

პროექტის მიმდინარეობის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლები დაესწრნენ სამიზნე მუნიციპალიტეტების საკრებულოს/ კომისიების 31 სხდომას, კერძოდ:

აღნიშნული პირები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დაესწრნენ სულ 18 სხდომას, მათ შორის, 9-ს - ქ. თბილისის მერიაში. თემები, რომლებიც განხილული იყო მერიაში შეხვედრების დროს, შეეხებოდა: ქ. თბილისში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პარკირების წესებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებასა და ABA თერაპიის დაფინანსების საკითხს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისათვის.

პროექტის განმახორციელებელი გუნდი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დაესწრნენ ქ. თბილისის საკრებულოს სხვადასხვა კომისიის 7 სხდომას, კერძოდ: ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის, განათლებისა და კულტურის კომისიის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომებს. განიხილებოდა შემდეგი საკითხები: 2015 წლის ბიუჯეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა, 2014 წლის ქ. თბილისის ბიუჯეტის მიმოხილვა და მისი შესაბამისობა შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირთა უფლებების დაცვასთან, ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების სამუშაო ვერსიის განხილვა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და ბავშვების უფლებების დაცვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, სკოლამდელი ინკლუზიური განათლება.

პროექტის განმახორციელებელი გუნდი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დაესწრნენ ქ. თბილისის საკრებულოს 2 სხდომას. განიხილებოდა შემდეგი საკითხები: ქ. თბილისის მასშტაბით ახალი სამშენებლო ნებართვების გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების დაცვა ძალადობისგან და ადგილობრივი თვითმმართველობის როლი აღნიშნული მიმართულებით, 2015 წლის ბიუჯეტის განხილვა.

პროექტის მიმდინარეობის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი მშობლები დაესწრნენ ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის 7 სხდომას.

პროექტის განმახორციელებელი გუნდი ქ. რუსთავში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და მათ მშობლებთან ერთად მონაწილეობდა ქ. რუსთავის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2 სხდომის მუშაობაში, რომლებზედაც განხილული იყო 2015 და 2016 წლების ბიუჯეტის კანონპროექტებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის საჭირო პროგრამების დაფინანსების საკითხები.

პროექტის განმახორციელებელი გუნდის მიმართვის საფუძველზე მოწვეულ იქნა ქ. რუსთავის საკრებულოს 3 სხდომა, რომლებზედაც განიხილებოდა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისთვის ABA თერაპიის დაფინანსების საკითხი და, ზოგადად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისთვის ABA თერაპიის დაფინანსების პროგრამის შემუშავების მიზნით შეხვედრა განხორციელდა ასევე ქ. რუსთავის მერთან.

ქ. ოზურგეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში პროექტის

მიმდინარეობის განმავლობაში, უშუალოდ პროექტის განმახორციელებელი გუნდის ინიციატივითა და ორგანიზებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი მშობლები დაესწრნენ საკრებულოსა და სხვადასხვა კომისიის 3 სხდომას, მათ შორის, 1 იყო ქ. ოზურგეთის საკრებულოს სხდომა, რომელზედაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა და მათმა მშობლებმა წამოაყენეს ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემები. აღნიშნულმა პირებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ საკითხთა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიების სხდომების მუშაობაში.

პროექტის მიმდინარეობის ეტაპზე გამოიკვეთა საჭიროება, რომ პროექტის განმახორციელებელ გუნდს, სამიზნე მუნიციპალიტეტებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით, წარემართა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ადვოკატირების პროცესი ცენტრალური ხელისუფლების დონეზე. აღნიშნული მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ორ სამუშაო შეხვედრაში, რომლებზედაც განიხილებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმისა და ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საკითხები. ორგანიზაციის წარმომადგენლები მონაწილებდნენ ასევე „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონპროექტის განხილვაში, რომელშიც განსაზღვრულია ინკლუზიური სწავლების პრინციპები მთელი საქართველოს მასშტაბით.

3. სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების განსაზღვრა

შედეგის მისაღწევად ლოგიკური ჩარჩოს მიხედვით დაგეგმილ განსახორციელებელ სამუშაოს წარმოადგენდა საჭიროებების კვლევის მომზადება მონაწილეობითი პრაქტიკული კვლევის მეთოდის გამოყენებით.

სამუშაოების შესრულების ინდიკატორებად განისაზღვრა:

- სამაგიდო კვლევა;
- საველე სამუშაოები;
- სამუშაო შეხვედრები;
- კვლევის საბოლოო ანგარიშის მომზადება.

3.1. სამაგიდო კვლევა

სამაგიდო კვლევის მთავარი მიზანი იყო საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართვისა და თვითმმართველობის დონეზე მათი უფლებების დაცვის კუთხით არსებული სამართლებრივი რეგულაციების შესწავლა და კვლევის ანგარიშების მიმოხილვა.

კვლევის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენდა ეფექტური კვლევის დიზაინისა და ინსტრუმენტის შექმნა, რომელიც საფუძვლად დაედებოდა საველე სამუშაოებს. მისი შედეგები საინტერესო იქნებოდა კვლევის ამჟამინდელი მდგომარეობის გასარკვევად, იმის განსაზღვრისთვის, თუ რა პრობლემებია გამოკვლეული ამ მიმართულებით დღემდე და რაზე უნდა გაეკეთებინა აქცენტი მკვლევარს მონაცემების შეგროვების ეტაპზე.

3.2. საველე სამუშაოები/სამუშაო შეხვედრები

საველე სამუშაოების მიზანი იყო მონაცემების შეგროვება ინდივიდუალური ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების საშუალებით. ამ მიმართულებით ჩატარდა 30 სიღრმისეული ინტერვიუ და 8 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლებთან.

ქ. ოზურგეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა 6 სიღრმისეული ინტერვიუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, 3 სიღრმისეული ინტერვიუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებთან, 2 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და 1 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების

მშობლებთან.

რუსთავის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 5 სიღრმისეული ინ-ტერვიუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და 4 სიღრმისეული ინტერვიუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებთან, 1 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და 3 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლებთან.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 8 სიღრმისეული ინ-ტერვიუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და 4 სიღრმისეული ინტერვიუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლებთან, 2 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლებთან.

3.3. კვლევის საბოლოო ანგარიშის მომზადება

საველე სამუშაოების ჩატარების შედეგად მიღებულ ინფორ-მაციაზე დაყრდნობით შეიქმნა ორი კვლევის ანგარიში: „ქ. თბილისში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების კვლევა“ და „ქ. რუსთავის, ქ. ოზურგეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შეზღუდული შესაძ-ლებლობის მქონე პირთა საჭიროებების კვლევა“.

კვლევის ანგარიშები დაიბეჭდა და გავრცელდა სამიზნე მუნი-ციპალიტეტებში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებს შორის.

4. საზოგადოების კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის

შედეგის მისაღწევად ლოგიკური ჩარჩოს მიხედვით დაგეგმილ საქმიანობას წარმოადგენდა საზოგადოების კომუნიკაციის სტრა-ტეგიის შემუშავება.

სამუშაოების შესრულების ინდიკატორებად განისაზღვრა:

- ► კონსულტაციები;
- ► რეკომენდაციები;
- ► კომუნიკაცია.

პროექტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც სამი კომპონენტისგან შედგებოდა: კონსულტაციების გაცემა სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის; საჯარო დისკუსიებზე, ტრენინგებზე და სამუშაო შეხვედრებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ დასახელებულ პრობლემებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება; ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის მათი მიწოდება და კომუნიკაციის დამყარება, რაც ითვალისწინებდა სტრატეგიულ სამართალწარმოებას უშუალოდ პროექტის განმახორციელებელი გუნდის მიერ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხრიდან მომართვის შემთხვევაში.

4.1. კონსულტაციები

პროექტის მიმდინარეობის დროს სულ გაიცა 105 კონსულტაცია. კონსულტაციები გაიცემოდა, ძირითადად, სატელეფონო კომუნიკაციის გზით. აქვე უნდა აღინიშნოს ასევე ტრენინგებზე, საჯარო დისკუსიებსა და სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეების მიერ გასაჯაროებული ინდივიდუალური შემთხვევების მართვის მიზნით გაცემული კონსულტაციები.

4.2. რეკომენდაციები

პროექტის განხორციელების ეტაპზე მომზადდა 9 წერილობითი რეკომენდაცია სამიზნე მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის, რომელთა მიზანი იყო, პროექტის განმახორციელებელი გუნდისა და პროექტში ჩართულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ განსაზღვრულ ძირითად პრობლემურ საკითხებზე ამ ადამიანებს წარმოედგინათ საკუთარი ხედვა თვითმმართველობის დონეზე.

4.3. კომუნიკაცია

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ სტრატეგიული სამართალწარმოების ფარგლებში შეისწავლა 110 საქმე და მიმართა სამიზნე მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ორგანოებს მათზე რეაგირების მიზნით. 110-დან 3 საქმის წარმოება გაგრძელდა სასამართლოში.

5. საჭიროების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდაციების მომზადება სამიზნე მუნიციპალიტეტებისათვის

შედეგის მისაღწევად ლოგიკური ჩარჩოს მიხედვით განსახორციელებელ სამუშაოებად განისაზღვრა: მონიტორინგის განხორციელება, საჯარო დისკუსიების მოწყობა და ცნობიერების ამაღლება.

სამუშაოების შესრულების ინდიკატორები:

- კონსულტაციები;
- შეხვედრები;
- რეკომენდაციების გაცემა;
- კომუნიკაცია.

5.1. ცნობიერების ამაღლება

პროექტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიმართულებით. უნდა გამოკვეთილიყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები, მათ საჭიროებები, რომელთა დაუცველობა და დაუკმაყოფილებლობა ხელს უშლის ამ ადამიანების აქტიურ მონაწილეობას თვითმმართველობის განხორციელებაში. ცნობიერების ამაღლების მიზნით გათვალისწინებული იყო საჯარო დისკუსიების მოწყობა და საინფორმაციო ბროშურის დამზადება/გავრცელება.

პროექტის ფარგლებში სულ ჩატარდა 8 საჯარო დისკუსია: 2 - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2 - ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტში, 2 - ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და 2 - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (სოფლები: ლიხაური და დვაბზუ).

არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიერ მომზადდა საინფორმაციო ბროშურა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აწვდის ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურისა და საქმიანობის ფორმები, მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მიმართვის ფორმები (მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების მოგვარების მიზნით), ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებების გასაჩივრების ფორმები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობის ფორმები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის სამართლებრივი საფუძვლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა, სოციალური აუდიტი, სახელმწიფო პროგრამები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

ცნობიერების ამაღლების მიზანს ემსახურებოდა პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის გაშუქება მედიის საშუალებით. მომზადდა 3 სატელევიზიო სიუჟეტი, 10 სტატია დაიბეჭდა სამიზნე მუნიციპალიტეტების ბეჭდურ მედიაში. ამ აქტივობებში ჩართული იყვნენ თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი მშობლები.

5.2. განხორციელებული სამუშაოების მონიტორინგი

პროექტით დაგეგმილი სამუშაოების მონიტორინგისა და ეფექტურობის განსაზღვრის მიზნით უნდა შეფასებულიყო, რამდენად შეესაბამებოდა განხორციელებული სამუშაოები პროექტით გათვალისწინებულ მიზნებს.

აღნიშნული მიზნით შეიქმნა ორი დოკუმენტი. პირველი მიმოიხილავს პროექტის ფარგლებში შესრულებულ ყველა სამუშაოს, ხოლო მეორე წარმოადგენს სტრატეგიული სამართალწარმოების ფარგლებში შემუშავებულ საზოგადოების კომუნიკაციის სტრატეგიას. ორივე დოკუმენტი მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიერ, დაიბეჭდა და გავრცელდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში.

IV. ცვლილებები. რომლებიც განხორციელდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში

იმის შესაფასებლად, თუ რა სახის ცვლილებები განხორციელდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით, არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიერ გამოთხოვნილ იქნა ინფორმაცია ქ. თბილისის[2], ქ. რუსთავის[3], ქ. ოზურგეთისა[4] და ოზურგეთის[5] მუნიციპალიტეტებიდან. ინფორმაციის გამოთხოვნის დროს გათვალისწინებული იყო ის საკითხები, რომელთა შესრულებაც „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმით“ ადგილობრივი თვითმმართველობების ვალდებულებად განისაზღვრა და რომელთა შესახებაც პროექტის ფარგლებში სამიზნე მუნიციპალიტეტებს მიეწოდებოდა ინფორმაცია ტრენინგების, საჯარო დისკუსიების, სამუშაო შეხვედრებისა და რეკომენდაციების საშუალებით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[6] 2014 წლიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის განხილვის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა საქველ-

[2] 2015 წლის 02 თებერვლის წერილი №05/291-15
[3] 2015 წლის 02 თებერვლის წერილი №05/294-15
[4] 2015 წლის 02 თებერვლის წერილი №05/293-15
[5] 2015 წლის 02 თებერვლის წერილი №05/292-15
[6] 2015 წლის 25 თებერვლის წერილი №433, 06/211-15/05/292-15

მოქმედო ასოციაცია ,,გურია“, რომელშიც გაერთიანებული არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. მათი ჩართულობით 2015 წლის ბიუჯეტში დაიგეგმა პროგრამები, რომელთა განხორციელებისთვისაც გამოიყო 30 000 ლარი;

- ახალი სამშენებლო ნებართვის გაცემის ეტაპზე მშენებლობის მწარმოებელ კომპანიებს მიეწოდება ინფორმაცია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 იანვრის №41 დადგენილების „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის“ შესახებ;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროცესში გათვალისწინებული იქნება მძღოლებისათვის შესაბამისი სწავლების კურსის ჩატარება;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა და მოქალაქეთა მისაღები აღჭურვილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საჭირო პანდუსებით;
- 2015 წლის ზაფხულის სეზონისათვის მოეწყო ადაპტირებული პლაჟი კურორტ ურეკში.

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[7] 2014 წლიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ერთ-ერთი მრჩევლის თანამდებობაზე დასაქმებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ქ. ოზურგეთის საკრებულოში ექსპერტ-კონსულტანტის თანამდებობაზე დასაქმებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
- მიმდინარეობს წინადადებების შემუშავების პროცესი შენობა-ნაგებობებში და გზებზე არსებული ბარიერების აღმოფხვრის მიზნით (წარმოებს აღნიშნული ბარიერების აღრიცხვა) ;
- გარემონტდა ორი საბავშვო ბაღი, რომლებშიც დამონტაჟდა პანდუსები;

[7] 2015 წლის 25 თებერვლის წერილი №06/212-15/05/293-15

- ► შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის 18 ბენეფიციარი მუდმივად ესწრება კულტურულ ღონისძიებებს, უზრუნველყოფილია მათი ტრანსპორტირება;
- ► გაიხსნა სადებატო კლუბი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[8] 2014 წლიდან შეზღუდული შესაძ-ლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- ► შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭო;
- ► ქ. თბილისის მერია აფინანსებს სურდო-თარჯიმნის მომსახურებას სმენის არმქონე ადამიანებისათვის;
- ► რეფერალურ პროგრამაში ცალკე გამოიყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარეაბილიტაციო მომსახურება და დაფინანსება მიიღო 236-მა პირმა.

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[9] 2014 წლიდან შეზღუდული შესაძ-ლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით გან-ხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- ► შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები „მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამით“ იღებენ წელიწადში 100 ლარს მედიკამენტების შესაძენად;
- ► მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (მხოლოდ უსინათლო) პირები იღებენ დახმარებას კომუნალური გადასახადების დაფარვისათვის;
- ► მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (მხოლოდ უსინათლო) სარგებლობენ შეღავათით მუნიციპალური ტრანპორტით მგზავრობის დროს;
- ► სოციალურად დაუცველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სარგებლობენ „სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სასმელი წყლის გადასახადზე შეღავათის დაწესების პროგრამით“, „მოქალაქეთა

[8] 2015 წლის 17 თებერვლის წერილი №06/198-15/05/291-15
[9] 2015 წლის 04 მარტის წერილი №06/220-15/05/294-15

ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების პროგრამით“, „სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე შეღავათის დაწესების პროგრამით“, „მინიმალური სასურსათო პროგრამით“ და „სადღესასწაულო ღონისძიებების პროგრამით“;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრის 120 ბენეფიციარისთვის ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ტრანსპორტირებას, კვებას, ცენტრის კომუნალური გადასახადისა და სპეციალისტების ხელფასების გადახდას.

V. დასკვნა

პროექტის განმახორციელებელი გუნდის მიერ შესრულდა ყველა რაოდენობრივი შედეგი, რომლებიც გათვალისწინებული იყო პროექტის მიზნებითა და ამოცანებით. როგორც სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციიდან ჩანს, თვითმმართველობის დონეზე შეინიშნება გარკვეული ცვლილებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის კუთხით. ქ. თბილისისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, გარკვეულწილად გათვალისწინებულია მუნიციპალური პროგრამებისა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა, პოზიტიური ცვლილებებია განხორციელებული ფიზიკური გარემოსა და ინფორმაციის მისაწვდომობის კუთხით.

პროექტის მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რომ პირველად სამიზნე მუნიციპალიტეტებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელებაში, საკრებულოს კომისიის სხდომებზე თავად დააფიქსირეს აზრი იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ და თვლიან, რომ ამ მიმართულებით თვითმმართველობამ აუცილებლად უნდა იაქტიუროს.

პროექტის ფარგლებში მომზადებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების კვლევა განსაკუთრებით საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმ-

მართველობის ორგანოებისათვის. აღნიშნული დოკუმენტი მათ აწვდის ინფორმაციას, რეალურად რა საჭიროებები აქვთ მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და რა მიმართულებით უნდა დაიწყონ მუნიციპალური პროგრამებისა და ბიუჯეტის დაგეგმვა.

თუმცა, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ, 2014-2015 წლებში განხორციელებული პოზიტიური ღონისძიებების მიუხედავად, სამიზნე მუნიციპალიტეტებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემების გრძელვადიან პერსპექტივაში მოგვარების მიზნით დაგეგმილი არაა კონკრეტული აქტივობები (ამ დასკვნის საფუძველს ისევ ოფიციალურად მოწოდებული ინფორმაცია იძლევა). წინა წლების მსგავსად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვა გაიგივებულია სოციალური პროგრამების შექმნასთან, შეღავათების დაწესებასთან, რომელთა მიზანი არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა.